ხელშეკრულება№ 03-06/31
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. ბათუმი

05 აგვისტო 2020 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შსეახებ“ საქართველოს კანონის (IIთავის ,მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ზაქარაძის სახით შემდგომში „ შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „ნოვა“** წარმოდგენილი მისი დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილს სახით შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდგომზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს **ელ.ტექნიკის შესაძენად** შემდგომში „საქონელი“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 მთლიანი სახელშეკრულების თანხა შეადგენს: **4595.00 (ოთხი ათას ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს და 00 თეთრს.**

1.2.1 ელ.ტექნიკის (CPV კოდი: 39700000) ღირებულება 3180.00 ლარს.

1.2.2 საწმენდი ნაერთის (CPV კოდი: 39800000) ღირებულება 70.00 ლარს.

1.2.3 მაღალი წნევით სარეცხის (CPV კოდი: 42100000) ღირებულება 1345.00 ლარს.

1.3 შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხსა და რაოდენობის მიხედვით.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.3 საქონელი ან მისი ნაწილი მიღების და/ან საბოლოო შემოწმენის შედეგად გამოვლენილ დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდები მიზეზის მითითებით.

2.5 შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

2.6 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სკოლის ბუღალტერი ელენა შერვაშიძე.

3.გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნივთის შეკეთება ან შეცვლა ნივთებზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად .

3.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხიდან.

4. შესყიდვების ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **არაუგვიანეს 2020 წლის 05 სექტემბრისა.**

4.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა, მდებარე ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. №5.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად. მიმწოდებელი ვალსებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საგარანტიო ფურცელი).

5.ანგარიშსწორება

5.1 ანგრიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარშს-ფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვადების დარღვევისთვის, შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0.2%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.
5.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს სესაბამისი ინფორმაცია.
6.3 ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფაისის გაზრდა შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება,დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქლაქო კოდექსის 3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელსეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.უფლებების გადაცემა

7.1 მომწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულება.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს და გამომწვევი მიზეზების შესახებ შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნული გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეე შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველის შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული,რომელიმე ვალდებულება.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა,რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება,რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემები დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სემთხვევაში.
9.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლობის შესახებ.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შემდეგ გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

11.ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადასალახავ და მათ კონტროლისგან დამოკიდებული გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორ მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისგან წერილობთ პასუხს,იგი თავის შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოების ზეგავლენისგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს,რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა,წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცსაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარება, ნებისმიერ მხარეს დაევალება გადაწყვიტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.გამოყენებული სასამართლო

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.**14.ხელშეკრულების ენა**

14.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია,რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად ,უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდეგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მიღების დღეს ან სეტყობინების ძალა შესვლის დადგენილ დღეს,იმის მიხედვით,თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2020 წლის 15 ოქტომბრამდე.**

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილი სამ ეგზემპლარად, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები	
„შემსყიდველი" სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ქ.ბათუმი,ფიროსმანის ქ.#5) ს/კ 245428933 ანგ.№ GE57LB0121165801639000 მიმღების ბანკი სს"ლიბერთი ბანკი" კოდი- LBRTGE22 ----------/ზ.ზაქარაძე/ (ხელმოწერა)	„მიმწოდებელი" შპს „ნოვა" ქ.თბილისი, რ.აგლამის ქ. #45 ს/კ 202358126 ანგ.№ GE93BG0000000778114900 მიმღ. ბანკი: სს " საქართველოს ბანკი " კოდი: BAGAGE22 ----------/ე.ხიმშიაშვილი/ (ხელმოწერა)

ფორმა №3

CPV-კოდი	საქონლის დასახელება	საზომი ერთ.	რაოდენობა	ფასი	თანხა
39713430	მტვერსასრუტი WD 5 P	ც	4	795.00	3180.00
42122100	მაღალი წნევით სარეცხი K 5 Full Control	ც	1	1345.00	1345.00
39831240	მანქანის შამპუნი Car shampoo 3-in-1 1L	ც	1	25.00	25.00
39831240	ქვისა და ფასადის გამწმენდი Stone and Fasade cleaner 5 Litres	ც	1	45.00	45.00
	სულ				4595.00

(ოთხი ათას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი)

შპს „ნოვა“